

სადოქტორო პროგრამის სახელწოდება: ევროპული ლიტერატურა (ერთობლივი საერთაშორისო პროგრამა)

სადოქტორო პროგრამა ხორციელდება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაზაზე, ევროპის წამყვან უნივერსიტეტებთან: ბოლონიის (იტალია), თესალონიკის (საბერძნეთი), მალუზის (საფრანგეთი) და სხვ. თანამშრომლობით.

სწავლების ენა: ფრანგული.

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: ფილოლოგიის დოქტორი / PhD in Philology

განსაკუთრებული პირობები: დაფინანსების მოპოვების შემთხვევაში აღნიშნულ სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხულ დოქტორანტებს ეძლევათ საშუალება, რომ სტუდენტთა საერთაშორისო მობილობის ფარგლებში სწავლის გარკვეული პერიოდი გაატარონ რომელიმე პარტნიორ უნივერსიტეტში/უნივერსიტეტებში და აღნიშნული უნივერსიტეტის/უნივერსიტეტების მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში, მათ მიენიჭებათ შესაბამისი უნივერსიტეტის/უნივერსიტეტების დოქტორის აკადემიური ხარისხი.

ერთობლივი ხარისხის მინიჭების შემთხვევაში მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი რეგულირდება თსუ-სა და ბოლონიის უნივერსიტეტს შორის დადებული სპეციალური ხელშეკრულებით (იხ. დანართი).

სწავლების ძირითადი დარგი/სპეციალობა: სადოქტორო პროგრამის ფარგლებში კვლევა შეიძლება წარიმართოს ფილოლოგიის ნებისმიერი ქვემომართულებით/ქვედარგში, დოქტორანტის დიპლომსა და დიპლომის დანართში სწავლების ძირითად დარგად/სპეციალობად მიეთითება ფილოლოგიის ის კონკრეტული ქვემომართულება/ქვედარგი, რომლის ფარგლებშიც დოქტორანტი აწარმოებს კვლევას და დაიცავს სადისერტაციო ნაშრომს.

სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელები: ასოცირებული პროფესორი ირინე დარჩია, პროფესორი ანა სონჩინი (ბოლონიის უნივერსიტეტი)

სადოქტორო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:

ა) **სადოქტორო პროგრამის მიზანი:** სადოქტორო პროგრამა მიზნად ისახავს ევროკავშირის შემადგენელი ქვეყნების ლიტერატურების კვლევას; იგი მოიცავს სხვადასხვა ეპოქაში, სხვადასხვა კულტურისა და ცივილიზაციის ფარგლებში სხვადასხვა ჟანრსა და ენაზე შექმნილი ლიტერატურული ნაწარმოებების კვლევას ფრანგულ ენაზე; კვლევა იწარმოებს კომპარატივისტული და ინტერდისციპლინური მეთოდების გამოყენებით. პროგრამის განხორციელებაში ჩართული იქნება პარტნიორი უნივერსიტეტების აკადემიური პერსონალი.

ბ) სადოქტორო პროგრამის შედეგი:

დარგობრივი უნარები

ცოდნა და გაცნობიერება

კურსდამთავრებულს ექნება მის მიერ კვლევის ობიექტად არჩეული ლიტერატურული ნაწარმოების/ნაწარმოებების ღრმა, სისტემური და უახლესი ცოდნა, რომელიც მას საერთაშორისო რეფერირებადი პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე მუშაობის საშუალებას მისცემს;

კურსდამთავრებული დაეუფლება ფილოლოგიური, კომპარატივისტული და ინტერდისციპლინური კვლევის მეთოდებს;

კურსდამთავრებულს ექნება ფრანგული ენის იმდენად ღრმა ცოდნა, რომ შეძლებს ფრანგულენოვანი ნებისმიერი სირთულის ტექსტის ინტერპრეტაციას, თარგმნასა და დეტალურ ანალიზს.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

კურსდამთავრებული შეძლებს, რომ დამოუკიდებლად დაგეგმოს, განახორციელოს და ზედამხედველობა გაუწიოს ინოვაციურ კვლევას;

კურსდამთავრებული შეძლებს შეიმუშაოს და დაფინანსების მოსაპოვებლად წარადგინოს სხვადასხვა სახის სასწავლო და სამეცნიერო შინაარსისა და მიზანდასახულობის პროექტები;

კურსდამთავრებული შეძლებს შეიმუშაოს ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მეთოდები და მიდგომები, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული და აისახება საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში.

ზოგადი (ტრანსფერული) უნარები

დასკვნის გაკეთების უნარი

კურსდამთავრებული შეძლებს ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკულ ანალიზს, სინთეზსა და შეფასებას;

კურსდამთავრებული დამოუკიდებლად მიიღებს პრობლემის გადაჭრისათვის სწორ და ეფექტურ გადაწყვეტილებას.

კომუნიკაციის უნარი

კურსდამთავრებული შეძლებს რთული და სადავო ინფორმაციის ეფექტურ გადაცემას კოლეგებისა და ფართო საზოგადოებისათვის ამ უკანასკნელთა მომზადების ხარისხის გათვალისწინებით, მათ შორის ფრანგულ და ინგლისურ ენებზე. ანუ კურსდამთავრებული შეძლებს მოხსენებების დაწერას, საერთაშორისო კონფერენციებზე გამოსვლას და, საჭიროების შემთხვევაში, საქართველოსა თუ უცხოეთში ლექციების წაკითხვას ფრანგულ ენაზე.

კურსდამთავრებულს ექნება სათანადო ცოდნა იმისათვის, რომ თავისუფლად გამოიყენოს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, ასევე მოახდინოს თანამედროვე ფილოლოგიურ მეცნიერებაში შექმნილი მრავალრიცხოვანი ელექტრონული ინფორმაციის ოპერატიულად მოძიება, შემოქმედებითად და კრიტიკულად გამოყენება;

სწავლის უნარი

კურსდამთავრებული შეძლებს სხვების სწავლის პროცესის დაგეგმვას და მართვას.

გ) კურსდამთავრებულის დასაქმების სფეროები: კურსდამთავრებული შეძლებს დასაქმებას უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სამეცნიერო-კვლევით და მთარგმნელობით ცენტრებში, სხვადასხვა პროფილის სახელმწიფო დაწესებულებებში, კომპანიებში, ფონდებსა და ორგანიზაციებში, ბიბლიოთეკებში, გამომცემლობებში, არასამთავრობო სექტორში და სხვ.

სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობები: ფილოლოგიის მაგისტრის (ან მასთან გათანაბრებული) ხარისხი (ფილოლოგიის ნებისმიერი ქვემიმართულებით/ქვედარგში). ფრანგული ენის C1 დონეზე ცოდნა.

სასწავლო კომპონენტი: სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტს არეგულირებს თსუ დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტი, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება და ბოლონიის უნივერსიტეტთან გაფორმებული ხელშეკრულება (იხ. დანართი). ერთობლივი ხარისხის მინიჭების შემთხვევაში, დოქტორანტმა უნდა დააკმაყოფილოს როგორც თსუ-ის, ისე იმ პარტნიორი უნივერსიტეტის სასწავლო კომპონენტის მოთხოვნები, რომლის აკადემიური ხარისხიც ენიჭება მას.

იმ შემთხვევაში, თუ დოქტორანტი ფრანგულის გარდა არ ფლობს ინგლისურ ენას B2 დონეზე, მაშინ მან უნდა გაიაროს ინგლისური ენის სასწავლო კურსი თსუ ენების ცენტრში, დოქტორანტურის სასწავლო კომპონენტისათვის განსაზღვრული კრედიტების ფარგლებში და სადისერტაციო ნაშრომის დაცვამდე უნდა დაადასტუროს ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე. პროგრამის აუცილებელ მოთხოვნას წარმოადგენს სადოქტორო სემინარების, სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა ფრანგულ ენაზე.

სამეცნიერო კვლევების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა: გამოყენებული იქნება თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის როგორც საფაკულტეტო, ისე სპეციალიზებული ბიბლიოთეკების, თსუ ცენტრალური ბიბლიოთეკის ფონდები. გარდა ამისა, დოქტორანტები ისარგებლებენ თსუ კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის კომპიუტერული ცენტრით.

რამდენი დოქტორანტის მიღებაა შესაძლებელი: მისაღები დოქტორანტების რაოდენობა რეგულირდება თსუ-სა და ბოლონიის უნივერსიტეტს შორის დადებული ხელშეკრულებით. გათვალისწინებულია არა უმეტეს 3 დოქტორანტის მიღება წელიწადში.

სადოქტორო პროგრამაში მონაწილე აკადემიური პერსონალი: სადოქტორო პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობის მიღება და დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელობა შეუძლია თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოლოგიის ნებისმიერი ქვემიმართულების აკადემიურ პერსონალს და დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე მოწვეულ პედაგოგებს, რომელთა კვალიფიკაცია, სწავლებისა და კვლევის გამოცდილება შეესაბამება დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის პრობლემატიკას.



ევროკავშირის ლიტერატურა

ევროპული ლიტერატურა

ევროპული უმაღლესი განათლების სადოქტორო პროგრამა

ხელშეკრულება

2001 წლის დეკემბერში უნივერსიტეტებსა და ინსტიტუტებს შორის ხელმოწერილი სამწლიანი დოქტორანტურის ხელშეკრულების თანახმად,

ალმა-მატერ სტუდიორუმ, ბოლონიის უნივერსიტეტი (ბოლონია, იტალია)
ბრიუსელის უმაღლესი სკოლა, ISTI (ბრიუსელი, ბელგია)
ექსტრემადურას უნივერსიტეტი (კასერესი, ესპანეთი)
ოტ ელზასის უნივერსიტეტი (მულუზი, საფრანგეთი)
ვალ დე მარნის უნივერსიტეტი პარიზი XII (პარიზი, საფრანგეთი)
თესალონიკის არისტოტელეს უნივერსიტეტი (თესალონიკი, საბერძნეთი)

ბოლონიის უნივერსიტეტის ინიციატივითა და კოორდინირებით, ქვემოთ უნივერსიტეტების მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულების საფუძველზე,

ჰილდეშაიმის უნივერსიტეტი (ჰილდესჰაიმი, გერმანია)
ჟაგიელონსკის უნივერსიტეტი (კრაკოვო, პოლონეთი)
რუსეთის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სახელმწიფო უნივერსიტეტი (მოსკოვი, რუსეთი)
პლენხანოვის აკადემია (მოსკოვი, რუსეთი)
ბლუზ პასკალის უნივერსიტეტი (კლერმონ ფერანი, საფრანგეთი)
კლუჟ ნაპოსას უნივერსიტეტი (კლუი, რუმინეთი)
კლიმენტ ოხრიდსკის სახელობის სოფიის უნივერსიტეტი (სოფია, ბულგარეთი)

და ქვემოთ უნივერსიტეტებთან ხელშეკრულების გაუქმების შემდეგ,

ექსტრემადურას უნივერსიტეტი (კასერესი, ესპანეთი)
ვალ დე მარნის უნივერსიტეტი პარიზი XII (პარიზი, საფრანგეთი)

გაფორმდეს ხელშეკრულება ზემოხსენებულ უნივერსიტეტებსა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს (საქართველო) შორის, რათა განხორციელდეს ევროპული

უმაღლესი განათლების სადოქტორო პროგრამა (ევროპული დოქტორანტურა) ევროკავშირის ლიტერატურაში.

უნივერსიტეტები თანხმდებიან უკვე დამტკიცებულ პროგრამებსა და ქვემოთ ხელშეკრულებაში აღნიშნული პროგრამის საფუძველზე.

„ეს პროექტი შეიქმნა ევროგაერთიანების ხელშეწყობით (სოკრატეს პროგრამა), შესულია „კურიკულუმის განვითარების“ პროგრამაში *Curruculum Development Advanced (CDA)* და შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს საუკეთესო აკადემიურ გარემოში შეასრულოს სადისერტაციო ნაშრომი პარტნიორ უნივერსიტეტებთან დადებული ევროპული თანამშრომლობის შეთანხმების ფარგლებში.

სადოქტორო პროგრამა ითვალისწინებს სწავლებასა და კვლევას ნაშრომის სპეციფიკიდან გამომდინარე კვლევის მეთოდოლოგიით, თითოეული უნივერსიტეტის რეგულაციების შესაბამისად, ჩარჩო ხელშეკრულების ფარგლებში.

სადოქტორო პროგრამა მიზნად ისახავს კვალიფიციური ნამდვილი ევროპული კულტურული კომპეტენციების მქონე სპეციალისტების მომზადებას, რომლებიც იმავდროულად შეძლებენ დააკმაყოფილონ ინტერკულტურულ გარემოში არსებული ბაზრის მოთხოვნები.

უმაღლესი განათლების სფეროში არსებული ტრადიციების გარდა, ზემოხსენებული სადოქტორო პროგრამა (DESE) ამარაგებს შრომის ბაზარს სპეციალისტებით, რომლებიც ფლობენ შესაბამის კომპეტენციებსა და ცოდნას შემდეგი მიმართულებებით:

- ლიტერატურული ინფორმატიკა;
- ტექსტოლოგია;
- ლიტერატურულ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სფეროს ნაწარმოებების თარგმნა;
- კულტურული მედიაცია;
- ევროპული ლიტერატურის სტრუქტურა და კულტურული იდენტობა.

ამისათვის სადოქტორო პროგრამა (DESE) მიზნად ისახავს კულტურის სხვადასხვა სფეროსთან ურთიერთობების განვითარებას პრაქტიკის მეშვეობით.

წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამის (DESE) განხორცილება ხდება შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

მუხლი 1. სამეცნიერო და ადმინისტრაციული ორგანო.

სამეცნიერო და სასწავლო პროცესის მაკოორდინებელი ორგანო მდებარეობს ბოლონიის უნივერსიტეტში. ამჟამად მინისტრიალის მიერ მისაღები ცვლილების მოლოდინში, დოქტორანტობის კანდიდატები ეწერებიან სადოქტორო პროგრამაზე (DESE) კონსორციუმის წევრ რომელიმე უნივერსიტეტში.

მუხლი 2. სამეცნიერო საბჭო.

ფორმირება. სადოქტორო პროგრამა DESE–ს სამეცნიერო საბჭო შედგება პარტნიორი უნივერსიტეტის მინიმუმ ერთი და მაქსიმუმ ორი პროფესორისგან, რომლებიც მონაწილეობენ პროგრამაში „კურიკულუმის განვითარება“ (CDA). საჭიროების შემთხვევაში დაინტერესებული უნივერსიტეტი სთავაზობს სამეცნიერო საბჭოს სხვა კანდიდატურას (კანდიდატურებს). საბჭო განიხილავს კანდიდატის პროფილის შესაბამისობას პროექტის მიზნებთან. გარდა ამისა, შესაძლებელია სასწავლო, კვლევით და საკონსულტაციო საქმიანობაში იმ მასწავლებლების ჩართვაც, რომლებიც არ არიან საბჭოს წევრები.

კომპეტენციები. სამეცნიერო საბჭო საჭიროების შემთხვევაში იღებს გადაწყვეტილებებს სადოქტორო პროგრამასთან დაკავშირებული სამეცნიერო და სასწავლო საკითხების შესახებ და მათ გადასცემს ზედა ინსტანციას.

მუხლი 3. დოქტორანტების რაოდენობა.

სადოქტორო პროგრამაზე პარტნიორი უნივერსიტეტის მიერ შესაძლებელია ჩარიცხულ იქნას ყოველწლიურად არა უმეტეს სამი (3) კანდიდატისა.

მუხლი 4. სწავლის ხანგრძლივობა.

სწავლება ხორციელდება სამი წლის ანუ ექვსი სემესტრის მანძილზე, რის შემდეგაც სტუდენტს აქვს უფლება მოითხოვოს ერთი ან რამდენიმე წლით სწავლის გაგრძელება სადისერტაციო ნაშრომის დასრულების მიზნით, თითოეულ უნივერსიტეტში მოქმედი წესების შესაბამისად.

მუხლი 5. საკომუნიკაციო და სწავლების ენა.

დოქტორანტურის საკომუნიკაციო ენა არის ფრანგული.

ყოველწლიურად, სამეცნიერო საბჭო განსაზღვრავს ერთ ან რამდენიმე „თემატურ ენას“ კონსორციუმის მიერ არჩეული საკვლევითი თემიდან გამომდინარე (იხ. დანართი 1).

კონსორციუმის წევრ თითოეულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას აქვს თავისი სამუშაო ენა.

დოქტორანტობის კანდიდატი უნდა ფლობდეს სამ ენას, რომელთაგან ფრანგული სავალდებულოა. სამუშაო ენების შერჩევა ხდება პროექტში მონაწილე დაწესებულებების სამუშაო ენებიდან.

დოქტორანტობის კანდიდატს შეუძლია შესთავაზოს მეოთხე ენა ევროკავშირის ოფიციალური და რეგიონალური ენებიდან.

მუხლი 6. მიღების პირობები.

სადოქტორო პროგრამაზე შეიძლება ჩარიცხონ მხოლოდ ის პირები, რომლებიც აკმაყოფილებენ ჩარიცხვისათვის საჭირო ყველა მოთხოვნას.

სადოქტორო პროგრამაზე დოქტორანტების შერჩევა ხდება კონკურსის წესით, გამოცდის ან გასაუბრების საფუძველზე. მიღების წესები განისაზღვრება სადოქტორო პროგრამებზე მიღების წინაპირობებისა და კონსორციუმის მონაწილე თითოეულ ქვეყანაში არსებული წესებისა და მოთხოვნების შესაბამისად.

გამოცდა/გასაუბრება საშუალებას აძლევს შესაბამისი უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამაზე პასუხისმგებელ პირებს, რომ ობიექტურად შეაფასონ დოქტორანტობის კანდიდატის როგორც წერითი, ისე ზეპირი მეტყველება სხვადასხვა ენებზე (მათ შორის, ფრანგულ და სხვა სამუშაო ენებზე).

მუხლი 7. სასწავლო პროგრამა.

ყოველწლიურად სამეცნიერო საბჭო განსაზღვრავს უნივერსიტეტთაშორის სადოქტორო პროგრამას დანართი 1–ის შესაბამისად.

მუხლი 8. დოქტორანტების მობილობა.

კონსორციუმის წევრი თითოეული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უერთდება სენევის ლიტერატურულ მთარგმნელთა ევროპული კოლეჯის კონვენციას (CTLS), რომელიც მდებარეობს სენევის შატოში (ციხესიმაგრე) (ბელგია). აღნიშნული ხელშეკრულება მიზნად ისახავს

პროფესორთა და სტუდენტთა პროფესიულ შეხვედრებს დოქტორანტთა სწავლისა და კვლევის შედეგების შეფასებისათვის წელიწადში ერთხელ ან ორჯერ.
სწავლის დასასრულს, დოქტორანტებს ერთ ან რამდენიმე პარტნიორ დაწესებულებაში, ერთი ან რამდენიმე პროფესორის ხელმძღვანელობით გატარებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ სამი თვე.

მუხლი 9. დიპლომის გაცემის წესი.

დოქტორანტურაში სწავლის დასრულებისას თითოეული დოქტორანტი, რომელიც დააგროვებს 180 ECTS კრედიტს და წარმატებით დაიცავს სადისერტაციო ნაშრომს, მიიღებს ევროპული უმაღლესი განათლების დოქტორის დიპლომს (DESE).

ყოველი აკადემიური წლის ბოლოს დოქტორანტებს აქვთ უფლება, მოითხოვონ ცნობა კურსის გავლის შესახებ, რომელიც გაცივმა სამეცნიერო საბჭოს მიერ.

დოქტორის დიპლომში აუცილებლად უნდა მიეთითოს: „ევროპული უმაღლესი განათლების დოქტორის აკადემიური ხარისხი ევროკავშირის ლიტერატურაში“ გაცემულია _____ უნივერსიტეტის მიერ (პროექტის მონაწილე და დიპლომის გამცემი უნივერსიტეტი), ბრიუსელის უმაღლეს სასწავლებელსა და _____ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით _____ (პარტნიორი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მითითებით).

დოქტორანტს სადისერტაციო ნაშრომის დაცვის უფლება ენიჭება პარტნიორი უნივერსიტეტების წარმომადგენლების მიერ გაცემული ორი რეცენზიის საფუძველზე. სადისერტაციო კომისია შედგება იმ უნივერსიტეტის რეგულაციების შესაბამისად, რომელშიც კანდიდატი იცავს ნაშრომს. კომისიაში უნდა შედიოდეს კონსორციუმის წევრი სხვა პარტნიორი უნივერსიტეტების არა ნაკლებ ორი წარმომადგენელი.

დისერტაციის დაცვა შეიძლება როგორც ერთ–ერთი პარტნიორი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ოფიციალურ ენაზე, ისე იმ უნივერსიტეტის ენაზე, სადაც დოქტორანტი დასაცავად წარადგენს თავის ნაშრომს.

მუხლი 10.

დავის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ხეკმეკრულების ფრანგულენოვან ვარიანტს.

დანართი 1

თითოეული პროგრამა ეძღვნება სპეციალურ თემას, რომელსაც ირჩევს სამეცნიერო საბჭო. ყველა ტიპის სასწავლო და კვლევითი საქმიანობა უკავშირდება აღნიშნულ თემას. თემის შერჩევა ხდება ევროპულ იდენტობასთან კავშირში.

პირველი წელი - 1 და 2 სემესტრი		
სწავლების ტიპი	საათების მოცულობა	ECTS
მეთოდოლოგიური სწავლება ¹ *ლიტერატურის ისტორია და ლიტერატურული ფორმების შესწავლა * ფილოსოფიის ისტორია * ხელოვნება და ლიტერატურა *ლიტერატურა და ინფორმატიკა	100 სთ ²	20
ტუტორობა	100 სთ	10
პარტნიორი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესორების მიერ შეთავაზებული კურსები	10-20 სთ	10
ერთობლივი სემინარი სენეფის კოლეჯში	50 სთ	20

მეორე წელი – 3 და 4 სემესტრი		
სწავლების ტიპი	საათების მოცულობა	ECTS
პარტნიორი დაწესებულებების პროფესორების მიერ შეთავაზებული კურსები	10-20 სთ	5
მეთოდოლოგიური სწავლება ³	50 სთ	10

¹ მეთოდოლოგიური სწავლება ფასდება წარმოდგენილი 4 ნაშრომის საფუძველზე (თითოეული არანაკლებ 20 გვერდი). ნაშრომები უნდა უკავშირდებოდეს ზემოხსენებულ სფეროებსა და სამეცნიერო საბჭოს მიერ დადგენილ წლიურ თემას. ტუტორატი ხორციელდება ზემოხსენებულ ნაშრომებზე მუშაობის პროცესში. წელიწადში ერთხელ კონსორციუმის წევრი პარტნიორი დაწესებულებების პროფესორები და დოქტორანტები იკრიბებიან სენეფის კოლეჯში შემდეგ საკითხებზე სამუშაოდ:

- კვლევის შეფასება
- ბიუჯეტი
- სამომავლო განვითარების პერსპექტივები

სტუდენტებს ბინით უზრუნველყოფს კოლეჯი. სტუდენტების მოგზაურობის ხარჯები ფინანსდება თავად სტუდენტების მიერ.

² იგულისხმება კვლევაზე, ან სასწავლო კურსებზე დახარჯული დრო.

*ტექსტის ანალიზი *თარგმანმცოდნეონა		
ინდივიდუალური პრაქტიკა ⁴	მინიმუმ 50 სთ	10
კვლევა ხელმძღვანელის დახმარებით	180 სთ	20
ერთობლივი სემინარი სენეფის კოლეჯში	50 სთ	15

მესამე წელი – 5 და 6 სემესტრი		
სწავლების ტიპი	საათების მოცულობა	ECTS
ნაშრომის მომზადება დასაცავად		50
სადოქტორო კოლოქვიუმი სენეფის კოლეჯში ⁵	50 სთ	10

³ მეთოდოლოგიური სწავლება ფასდება წარმოდგენილი 2 ნაშრომის საფუძველზე (თითოეული არანაკლებ 20 გვერდი). ნაშრომები უნდა უკავშირდებოდეს სამეცნიერო საბჭოს მიერ დადგენილ წლიურ თემას. ტუტორატი ხორციელდება ზემოხსენებულ ნაშრომებზე მუშაობის პროცესში. 10-20 საათს ლექციას ატარებენ პროექტში მონაწილე უნივერსიტეტების პროფესორები.

⁴ სტუდენტმა უნდა გაიაროს პრაქტიკა იმ სფეროში, რომელიც ეხება თავის სადოქტორო ნაშრომს.

⁵ მესამე წელს ტარდება სადოქტორო კოლოქვიუმი, რომელზეც ყოველი დოქტორანტი წარადგენს მოხსენებას თავისი სადისერტაციო ნაშრომის შესახებ. მოხსენებები კრებულის სახით ყოველწლიურად გამოიცემა გამომცემლობა Hazard-ის მიერ (ISTI asbl).